



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის
აქტი

№ 17/00

„ 13 „ ივნისი 2011

ქ. თბილისი

“ ვ ა მ ტ პ ი ც ე პ ”

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ალექსანდრე არაყიშვილი

„ 13 „ ივნისი 2011 წელი

ვგზ. N2

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

პერიოდი: 01/01/2010-01/01/2011

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 3
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 4
1. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	გვ. 4
2. აუდიტის ობიექტის მიერ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა	გვ. 12
3. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის მდგომარეობა	გვ. 13
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.	გვ. 17
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ. 18
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.	A

I. შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 14 თებერვლის №7/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4

აუდიტის ჯგუფი - მთავარი აუდიტორი ავთანდილ ვასაძე.

აუდიტის პერიოდი - 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 14/02/2011 – 10/04/2011 (დაწყება-დამთავრება).

შემოკლებანი:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - სამინისტრო.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი - მინისტრი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატი - აპარატი.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება - ხელშეკრულება.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულება დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბერის №206 დადგენილებით.

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სახელმწიფოებრივ მართვასა და კოორდინაციას; სამთავრობო დაწესებულებების უცხო ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინაციას.
- სამინისტრო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონმდებლობით და სამინისტროს დებულებით.
- სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

სამინისტროს სისტემა:

- სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
ცენტრალურ აპარატს ქმნის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები (დეპარტამენტები და სამსახურები); ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში შედიან საგანგებო დავალებათა ელჩები.
- საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფები (დიპლომატიური წარმომადგენლობები, საკონსულო დაწესებულებები);
- სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო.

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

- საგარეო საქმეთა სამინისტროში არ წარდგენილა საქართველოს საელჩოს უკრაინაში და მუდმივი წარმომადგენლობის სუამში (დაზუსტებული გეგმები შესაბამისად 1 125.4

ათასი და 354.3 ათასი ლარი) ბუღალტრული ანგარიშგებები, ამის გამო სამინისტროს ნაერთ ბუღალტრულ ანგარიშგებაში არ აისახა ამ წარმომადგენლობების საბალანსო მონაცემები (გარდა საკასო ხარჯისა და წლის დასაწყისის ნაშთებისა).

- საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალანსზე ასახული აქტივების ნაშთი რეალურად არ ასახავს სამინისტროს აქტივების ფაქტობრივ მდგომარეობას. საბალანსო ანგარიშზე „სხვა ანგარიშები ბანკში“ ნაშთად ირიცხება 263 986 ლარი, რომელიც წლების განმავლობაში წარმომადგენს საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალს.

III. ძირითადი ტექსტი

1. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები დაუმტკიცდა 69 244.6 ათასი ლარის ოდენობით¹. აუდიტის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ 70 378.9 ათასი ლარი შეადგინა.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, წლის განმავლობაში, 14 შემთხვევაში, გამოიყო 778.5 ათასი ლარი. აქედან, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებებისთვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 514.3 ათასი ლარი. ამ ასიგნების მიზნობრივად და კანონიერად გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები იმყოფება დიპლომატიურ წარმომადგენლობებში. 264.2 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდიდან, გამოიყო აპარატს, საიდანაც მიზნობრივად ათვისებულია (გახარჯულია) 144.2 ათასი ლარი². ათვისებული თანხების სარეზერვო ფონდში დაბრუნების თაობაზე, სამინისტრომ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს³, რაზედაც ფინანსთა სამინისტროს მხრიდან ღონისძიებები არ გატარებულა. შესაბამისად, ათვისებული თანხები ფონდში უკან არ დაბრუნებულა. ამასთან, გამოყოფილი ასიგნება სხვა მიზნობრიობით არ გამოყენებულა⁴.

¹ საქართველოს კანონი (2010 წლის 19 ნოემბერი №3831) „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე”

² 136.6 ათასი ლარი ათვისებულია გამოყოფილი 256.4 ათასი ლარის ასიგნების პირობებში; 7.5 ათასი ლარი ათვისებული იქნა გამოყოფილი 7.8 ათასი ლარის ასიგნებიდან. ათვისებულია 120.0 ათასი ლარი

³ საგარეო საქმეთა სამინისტროს 2010 წლის 29.11.2010 წლის №2/17732-02 წერილი

⁴ აპარატის „საქონელი და მომსახურების“ მუხლში დაზუსტებულ ასიგნებასთან შედარებით 232.9 ათასი ლარით ნაკლებად არის გაწეული საკასო ხარჯი, ასევე 179.8 ათასი ლარით ნაკლებად არის გაწეული ფაქტობრივი ხარჯი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან წლის განმავლობაში, 10 შემთხვევაში გამოყოფილი იქნა 365.4 ათასი ლარი (აქედან 8.9 ათასი ლარი უკან დაბრუნდა ფონდში). შესაბამისად, წლის ასიგნებებს დაემატა 355.8 ათასი ლარი, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებებისთვის. ამ ასიგნების მიზნობრივად და კანონიერად გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები იმყოფება დიპლომატიურ წარმომადგენლობებში.

2010 წლის განმავლობაში სამინისტროს თხოვნით 10-ჯერ არის განხორციელებული ცვლილება ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ასიგნებების კვარტალურ განწერაში და მუხლების ასიგნებებს შორის. გარდა ამისა, სამინისტროს წლიური ასიგნებები გაზრდილია 2 746.5 ათასი ლარით⁵.

2010 წლის განმავლობაში, სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით - სამინისტროსთვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების 5%-ის ფარგლებში.

სამინისტროსთვის⁶ გამოყოფილი მთლიანი ასიგნებებიდან:

- „გრანტების“ მუხლის ასიგნებების - 5 033.3 ათასი ლარის განკარგვა, განხორციელებულია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარჯებისათვის⁷;
- „საქონელი და მომსახურების“ მუხლში შემავალი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლის ასიგნებიდან, 55 429.6 ათასი ლარის განკარგვა, განხორციელებულია საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების მიერ⁸;
- სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს⁹ მიერ განხორციელებულია 75.8 ათასი ლარის განკარგვა. მათ შორის: 36.0 ათასი ლარის განკარგვა „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ასიგნებიდან და 39.8 ათასი ლარის განკარგვა „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ასიგნებიდან;

⁵ 2010 წლის 18 ივნისს დამტკიცებული (№ 3109) „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. (შემდგომი კანონით სამინისტროს ასიგნებებში ცვლილებები არ განხორციელებულა)

⁶ ორგანიზაციული კოდი-28 00

⁷ ორგანიზაციული კოდი-28 03

⁸ ორგანიზაციული კოდი-2802

⁹ ორგანიზაციული კოდი-28 04

- სხვა დანარჩენი ასიგნებების - 9 840.2 ათასი ლარის განკარგვა, განხორციელებულია სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ¹⁰.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2010 წელს გაწეულმა საკასო ხარჯმა 67 878.5 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 67 261.3 ათასი ლარი¹¹.

დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ მუხლებში, გეგმიურ მაჩვენებლებთან მიმართებაში, სამინისტროს მიერ ხარჯების გაწევის შესახებ იხილეთ ცხრილი (ლარი):

კლასიფიკაცია	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	საკასო ხარჯის მეტობა(+)/ნაკლებობა(-) დაზუსტებულ გეგმასთან	ფაქტობრივი ხარჯი	ფაქტ. ხარჯის მეტობა(+)/ნაკლებობა(-) დაზუსტებულ გეგმასთან	ფაქტ. ხარჯის მეტობა(+)/ნაკლებობა საკასო ხარჯთან
სულ	70378913	67979485	-2399428	67261266	-3117647	-718219
1. ხარჯები	70116413	67772650	-2343763	67261266	-2855147	-511384
შრომის ანაზღაურება	4608800	4571809	-36991	4571135	-37665	-674
თანამდებობრივი სარგო		3301920		3301246		-674
პრემია		1258044		1258044		0
დანამატი		11845		11845		0
საქონელი და მომსახურება	60385298	58102830	-2282468	54948746	-5436552	-3154084
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		435252		435252		0
მივლინებები		2243434		2232127		-11307
ოფისის ხარჯები		980415		1001141		20726
წარმომადგენლობითი ხარჯები		682914		727653		44739
სამედიცინო ხარჯები		1400		1680		280
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატ. და მოვლა-შენახვის ხარჯები		287717		294394		6677
სხვა დან-ჩენი საქონელი და მომსახურება		53471698		50256499		-3215199
ძირ. კაპიტ. მოხმარება		0	0	2643458	2643458	2643458
გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს (მიმდინარე)	5033315	5033208	-107	5033208	-107	0
სოციალური უზრუნველყოფა (დაქირავებულის მიერ გაწეული სოციალური მომს-ება ფულადი ფორმით)	44000	42727	-1273	42727	-1273	0
სხვა ხარჯები (მიმდინარე)	45000	22076	-22924	21992	-23008	-84
2. არაფინანსური აქტივების ზრდა	262500	206835	-55665		-262500	-206835

¹⁰ ორგანიზაციული კოდი-2801

¹¹ ფაქტობრივ ხარჯში არ მონაწილეობს საქართველოს საელჩოს უკრაინაში (დაზუსტებული გეგმა 1.125. 4 ათასი ლარი) და მუდმივი წარმომადგენლობის სუამში (დაზუსტებული გეგმა 354.3 ათასი ლარი) მიერ გაწეული ფაქტობრივი ხარჯები (აღწერილია ქვემოთ)

საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის სხვაობა - 718.2 ათასი ლარი, გამოწვეულია: სამინისტროს აპარატისა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების მიერ, წინა წელს გაწეული საკასო ხარჯის შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯის მიმდინარე წელს გაწევით (წინა წელს წარმოშობილი დებიტორული დავალიანების დაფარვა და ჩამოწერა ხარჯში); ძირითად აქტივებზე ფიზიკური და მორალური ცვეთის დარიცხვით; საწყობში ნაშთად რიცხული საწვავ-საპოხი მასალების შემცირებითა და მატერიალური მარაგების ნაშთის ზრდით; არაფინანსური აქტივების შეძენით¹²; საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ დაწესებულებებში, წინასწარ გადახდილი ავანსებით (ოფისის და ბინის სადეპოზიტო თანხა) და დებიტორული დავალიანებების წარმოშობით, რომელთა დაფარვა წლის ბოლოსათვის არ მომხდარა; წარმომადგენლობებში საკასო ხარჯის გაწევით, წინა წლის კრედიტორულ დავალიანებათა შესამცირებლად (ავტომობილის ლიზინგის თანხა და სხვა).

სამინისტროს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ დაზუსტებული ასიგნებების ფარგლებში ხარჯები შემდეგნაირად გაიწია:

ა) 2010 წლის განმავლობაში სამინისტროს, გრანტის სახით საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარჯებისათვის, დაზუსტებული გეგმით განესაზღვრა 5 033.3 ათასი ათასი ლარის ასიგნებები. საკასო და ფაქტობრივმა ხარჯებმა 108 ლარით ნაკლები შეადგინა. საკასო ხარჯიდან 46 საერთაშორისო ორგანიზაციაზე¹³ საწევრო შენატანის სახით გადარიცხულია 2 932.4 ათასი ლარი. 2010 წლამდე არსებული საწევრო გადასახადების გადაუხდელობის გამო დაგროვილი დავალიანებების დასაფარავად კი, გადარიცხულია 2 100.8 ათასი ლარი.

ბ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების საბალანსო მონაცემების მიხედვით, საკასო და ფაქტობრივი¹⁴ ხარჯები დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესაბამისად 2044.8 ათასი ლარით და 3037.2 ათასი ლარით ნაკლებად არის გაწეული. ფაქტობრივი ხარჯი საკასო ხარჯზე 992.3 ათასი ლარით ნაკლებად არის გაწეული, რაც ძირითადად გამოწვეულია არაფინანსური აქტივების შეძენით.

¹² წარმომადგენლობების მიერ აქტივები მიღებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ასიგნებიდან
¹³ ორგანიზაციებზე, ან ამ ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ კონვენციებზე, კომისიებზე, ჯგუფებზე, ღონისძიებებზე და ა.შ.

¹⁴ ბუღალტრულ ანგარიშგებაში დაზუსტებული გეგმა და საკასო ხარჯი მოყვანილია 54 დაწესებულებისათვის, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი 52 დაწესებულებისათვის. დაწესებულებების ბალანსში არ არის შეყვანილი უკრაინის საელჩოსა (დაზუსტებული გეგმა 1.125. 4 ათასი ლარი) და მუდმივი წარმომადგენლობის სუამში (დაზუსტებული გეგმა 354.3 ათასი ლარი) საბალანსო მონაცემები (გარდა საკასო ხარჯისა და წლის დასაწყისის ნაშთებისა), რადგან ადგილებზე ფინანსური მენეჯერების როტაციის გამო ამ წარმომადგენლობების ბალანსები სამინისტროში არ წარდგენილა.

გაწეული ხარჯების მაჩვენებლების შესახებ იხილეთ ცხრილი (ლარი):

კლასიფიკაცია	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	საკასო ხარჯის მეტობა(+)/ნაკლებობა (-) დაზუსტ. გეგმასთან	ფაქტობრივი ხარჯი	ფაქტ.ხარჯის მეტობა(+)/ნაკლებობა (-) დაზუსტებულ გეგმასთან	ფაქტ.ხარჯის მეტობა(+)/ნაკლებობა საკასო ხარჯთან
სულ	55,429,615	53,384,773	-2044842	52392461	-3,037,154	-992,312
საქონელი და მომსახურება	55429615	53384773	-2044842	50177582	-5252033	-3207191
ძირ. კაპიტ. მოხმარება				2214879	2214879	2214879

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური 54 დაწესებულებიდან, 2010 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი ჩაუტარდა 3 დაწესებულებას¹⁵, რომელთა 2010 წლის დაზუსტებულმა ასიგნებამ შეადგინა 3 665.4 ათასი ლარი.

საქართველოს საელჩოში საფრანგეთში, მონაკოს სამთავროში, პორტუგალიაში და მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა იუნესკოში გამოვლინდა:

-2010 წლის ბალანსში ირიცხება საელჩოში ამჟამად მომუშავე თანამშრომელთათვის ბინის გარანტიის დაუბრუნებლობის გამო წარმოშობილი დებიტორული დავალიანება 20.1 ათასი ევრო, რაც მოდის 2007-2008 წლებზე, მაშინ როდესაც მინისტრის ბრძანებების შესაბამისად¹⁶ ავანსად გაცემული ბინის გარანტიები დაბრუნებას ექვემდებარებოდა გაცემიდან ექვს თვეში.

რეკომენდაცია:

-სამინისტრომ და საელჩომ ურთიერთშეთანხმებით შეიმუშაონ, საელჩოს თანამშრომლების მიერ ბინის გარანტიის თანხების დაუბრუნებლობის გამო წარმოშობილი 20.1 ათასი ევროს ოდენობით რიცხული დებიტორული დავალიანებების დაფარვის გრაფიკი და გრაფიკის შესაბამისად უზრუნველყონ დავალიანებების

¹⁵ საქართველოს საელჩო საფრანგეთში, მონაკოს სამთავროში, პორტუგალიაში და მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა იუნესკოში (დაზუსტებული გეგმა 1 984.6 ათასი ლარი (835.8 ათასი ევრო), საკასო ხარჯი 835.8 ათასი ევრო, ფაქტობრივი ხარჯი 847.0 ათასი ევრო); საქართველოს საელჩო ლიტვის რესპუბლიკაში (დაზუსტებული გეგმა 840.4 ათასი ლარი (353.9 ათასი ევრო), საკასო ხარჯი 353.7 ათასი ევრო, ფაქტობრივი ხარჯი 347.9 ათასი ევრო); საქართველოს საელჩო ისრაელის სახელმწიფოში (დაზუსტებული გეგმა 840.4 ათასი ლარი (600.4 ათასი დოლარი), საკასო ხარჯი 546.6 ათასი დოლარი, ფაქტობრივი ხარჯი 587.3 ათასი დოლარი).

¹⁶ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებები „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ“ (2007-2009 წლები)

დაფარვა, გონივრულ ვადებში, რათა ამ თანამშრომელთა შემდგომი როტაციის შემთხვევაში, თავიდან იქნას აცილებული მსგავსი ფაქტები;

-რადგან ფაქსისა და კომპიუტერების იჯარაზე და თანმდევ ტექნიკურ მომსახურებაზე 2007 წლიდან მოყოლებული გადახდილია 50.0 ათას ევროზე მეტი. სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა და საელჩომ მიიღონ ეკონომიურად დასაბუთებული გადაწყვეტილება არსებული ხელშეკრულებების გაგრძელების ან ახალი ტექნიკის შესყიდვის თაობაზე;

-აუდიტის მსვლელობისას გამოვლინდა, რომ საზოგადოდ, საელჩოების მუშაობის პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც რომელიმე ქვეყნის საელჩო აკრედიტებულია ორ ან მეტ ქვეყანაში და საელჩოების მოსამსახურეთა მივლინებისას იმ ქვეყნებში, რომლებსაც ფარავს საელჩო, წარმოიშობა უხერხულობები საცხოვრებელი ფართის დაქირავების გადახდისას, იმის გამო, რომ მივლინების ადგილზე არსებული სასტუმროს ღირებულებები არ შეესაბამება იმ ქვეყნისთვის განსაზღვრულ საცხოვრებელი ფართის დაქირავების განაკვეთებს, სადაც მდებარეობს საელჩო. აღნიშნული იწვევს მივლინებულ მოსამსახურეთა მიერ როგორც საკუთარი სახსრებით ხარჯების გაწევას, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში ნაკლები ხარჯების გაწევას, ვიდრე მათ მიღებული აქვთ სამივლინებო ნორმების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეიმუშაოს წინადადებები საკითხის საკანონმდებლო დონეზე დასარეგულირებლად.

-საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ დაწესებულებებში ჩატარებული აუდიტების შედეგად, საელჩოებისთვის და სამინისტროსთვის მიცემული რეკომენდაციებიდან გამომდინარე, სამინისტრომ, ყველა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ დაწესებულებაში განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, მსგავსი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით.

გ) სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს მიერ, 75.8 ათასი ლარის დაზუსტებული გეგმის პირობებში, გაწეულია 70.7 ათასი ლარის საკასო და ფაქტობრივი ხარჯები. მათ შორის: „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლში - 35.6 ათასი ლარი, ხოლო „საქონელი და მომსახურების“ მუხლში - 35.1 ათასი ლარი.

დ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატს დაზუსტებული გეგმით განესაზღვრა 9 840.2 ათასი ლარის ასიგნებები. გადახდა შეადგენდა - 9 490.8 ათასი ლარს. ფაქტობრივი ხარჯი გაწეული იქნა 9 764.9 ათასი ლარის ოდენობით.

საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 274.1 ათასი ლარს. კონკრეტულ მუხლებში სხვაობის გამომწვევი მიზეზებია:

„თანამდებობრივი სარგო“ - ნოემბერში, ერთი თანამშრომლის, სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით, წარმოიშვა მოთხოვნა, 674.3 ლარის ოდენობით, მასზე ხელფასის დარიცხვის და გაცემის გამო, რაც დაიფარა 2011 წლის დასაწყისში;

„მივლინებები“ - ფაქტობრივი ხარჯი საკასო ხარჯზე ნაკლებია 11.3 ათას ლარით. გამომწვევი ფაქტორებია:

ა) წინა წელს წარმოშობილი დებიტორული დავალიანების დაფარვა, რომლის შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯი არ გაწეულა, რადგან პირდაპირ იქნა მიმართული ბიუჯეტში (2.5 ათასი ლარი);

ბ) 5.9 ათასი ლარის ოდენობით საკასო ხარჯის შემცირება ვერ მოხერხდა, რადგან 30 დეკემბერს ბიუჯეტში დაბრუნებული ეს თანხა, აისახა როგორც გაურკვეველი თანხა¹⁷;

გ) „მოთხოვნები მივლინებით“ ანგარიშზე წლის დასაწყისის (6.2 ათასი ლარი) და წლის ბოლოს (9.0 ათასი ლარი) ნაშთების არსებობა. მოთხოვნები გაიზარდა 2.8 ათასი ლარით.

„ოფისის ხარჯები“, „წარმომადგენლობითი ხარჯები“, „ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“ - ფაქტობრივი ხარჯები საკასო ხარჯებზე მეტია შესაბამისად 20.7 ; 44.7 და 6.7 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია საწყობში წლის დასაწყისში არსებული ნაშთების შემცირებით (ხარჯებში ჩამოწერით), რასაც თან ახლდა მიმდინარე წელს შეძენილი მარაგებიდან ნაწილის გახარჯვა.

„სამედიცინო ხარჯი“ - 280 ლარის სხვაობა წარმოადგენს, 2010 წლის ბოლოს წარმოშობილი დებიტორული დავალიანების ვალდებულებად აღიარებას;

„სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ - ფაქტობრივი ხარჯი ნაკლებია საკასო ხარჯზე 8.1 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია წლის განმავლობაში შესყიდული მარაგების ნაწილის გაუხარჯაობით, შესაბამისად საწყობში ნაშთის სახით არსებობით;

„ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ - გაწეულია მხოლოდ ფაქტობრივი ხარჯი - 428.6 ათასი ლარი;

¹⁷ 5.9 ათასი ლარი - წარმოადგენს შპს „სი თი ეს“-თან ავიაბილეთების შესყიდვასთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას შპს-ს მიერ სამინისტროსთვის გაკეთებული შეღავათის თანხას, რაც შპს-ს მიერ დაბრუნებულ იქნა სამინისტროსთვის 30 დეკემბერს, თუმცა ეს თანხა სახაზინო სამსახურის მიერ არ იქნა აღრიცხული მივლინების მუხლში საკასო ხარჯის შემცირებად და აღიარებულ იქნა გაურკვეველ შემოსავლად, შესაბამისად სამინისტროს მიერ არ მოხდა მივლინების მუხლში საკასო ხარჯის შემცირება და ეს თანხა აღრიცხულ იქნა 8200 საბალანსო ანგარიშზე „აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები“.

„არაფინანსური აქტივების ზრდა“ - თავდაპირველი დამტკიცებული გეგმა¹⁸ შეადგენდა 411.5 ათას, ხოლო მე-2 კვარტლის დამტკიცებული ასიგნებების 55.1 ათასი ლარით გაზრდის შემდეგ¹⁹, დამტკიცებულმა გეგმამ 466.5 ათას ლარი²⁰ შეადგინა. მე-2 კვარტალში, 150.0 ათასი ლარის ასიგნება გადატანილი იქნა მე-3 კვარტალში²¹; მე-3 კვარტალში, 350.0 ათასი ლარის ასიგნება გადატანილი იქნა მე-4 კვარტალში²²; მე-4 კვარტალში, ამ მუხლის ასიგნება შემცირებული იქნა 204.0 ათასი ლარით. კერძოდ: საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ასიგნებიდან, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ასიგნებას დაემატა 50.0 ათასი ლარი²³, ამავე დროს კი - მოაკლდა 254.0 ათასი ლარი. კერძოდ: „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ასიგნებიდან სამინისტროს აპარატის „საქონელი და მომსახურების“ მუხლში გადატანილი იქნა 250.0 ათასი ლარი²⁴, სამინისტროს აპარატის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში კი - 4.0 ათასი ლარი²⁵. ასეთი ცვლილებების შედეგად მუხლის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 262.5 ათასი ლარი. წლის განმავლობაში კი - გაწეულია საკასო ხარჯი -206.8 ათასი ლარი: თებერვალში გახარჯულია 8.0 ათასი ლარი, ივნისში -0.8 ათასი ლარი, ოქტომბერში - 4.3 ათასი ლარი, ხოლო ნოემბერ - დეკემბერში გაიხარჯა - 193.7 ათასი ლარი. მათ შორის:

-ავტომანქანის გადაცვლის ოპერაციებისთვის 23.3 ათასი ლარი (შპს „ქარ რენტ თრეიდ-ინ ქომფანი“ -2010 წლის 1 დეკემბრის ხელშეკრულებით) გახარჯულია ავტომანქანების გადაცვლის ოპერაციებზე. კერძოდ:

სამინისტროს ბალანსზე რიცხული 5 ავტომობილი²⁶ (ღირებულება 13 756.22 აშშ დოლარი) გადაცვილი იქნა 2010 წელს გამოშვებულ „ჰიუნდაი სონატა“-ზე (27000 აშშ დოლარი). სხვაობა 13243.78 აშშ დოლარის ექვივალენტი - 23 337 ლარი, გადაერიცხა მიმწოდებელს 2010 წლის 3 დეკემბერს.

-კომპიუტერულ ტექნიკაზე (პროცესორები, სერვერები, პრინტერები, ასლგადამღები მოწყობილობები) გახარჯულია 175.5 ათასი ლარი. კერძოდ:

¹⁸ საქართველოს კანონი (2009 წლის 4 დეკემბერი №2230) „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №538 - 23.06.2010 .

²⁰ საქართველოს კანონი (2010 წლის 18 ივნისი №3109) „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე”(კანონში შემდგომი ცვლილებებით დამტკიცებული ასიგნება არ შეცვლილა).

²¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №567 - 30.06.2010

²² საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №843 - 30.09.2010.

²³ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №939 - 12.11.2010 -ასიგნება არ გამოყენებულა.

²⁴ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №900- 25.10.2010.

²⁵ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №939 - 17.11.2010.

²⁶ „ფოლქსვაგენი“- გამოშვებული 2005წ; „ვაზ 212013“ -1999წ; „კრაისლერი“-1995წ; „გაზ 3110“-2005წ; „ვაზ 2107“-2005 წ.

ქსელური მოწყობილობები- 14.4 ათასი ლარი (შპს „მანტა სისტემსი“ -2010 წლის 28 ოქტომბრის ხელშეკრულება);

პერსონალური კომპიუტერის კომპლექტი 40 ცალი- 34.0 ათასი ლარი (შპს „ესაბი“ -2010 წლის 28 ოქტომბრის ხელშეკრულება);

სერვერის კარადა- 1.0 ათასი ლარი; სერვერი 3 ცალი-35.0 ათასი ლარი; მყარი დისკების სერვერი - 29 ათასი ლარი -სულ 65.0 ათასი ლარი (შპს „ორიენტ ლოჯიკი“ -20 ოქტომბრის ხელშეკრულება);

სიგნალის გარდამქმნელი 4 ცალი - 13.2 ათასი ლარი (შპს „მანტა სისტემსი“ -2010 წლის 28 ოქტომბრის ხელშეკრულება);

სერვერი ფილტრაციის -7.2 ათასი ლარი (შპს „გრინ პროექტი“ - 20 ოქტომბრის ხელშეკრულება);

კომპიუტერის პროცესორი 40 ცალი-23.0 ათასი ლარი; პრინტერი 3 ცალი - 2,1 ათასი ლარი; კომბაინი 10 ცალი- 6.6 ათასი ლარი -სულ 31.7 ათასი ლარი (შპს „ესაბი“ - 3 დეკემბერი);

ასლგადამღები აპარატები- 3 ცალი - 4.9 ათასი ლარი (შპს „ესაბი“ - 3 დეკემბერი).

მიმწოდებლების მიერ საქონელი მიწოდებულია ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვადებში.

რეკომენდაცია:

- სამინისტრომ მინიმუმამდე დაიყვანოს, სამინისტროსთვის დამტკიცებული და/ან დაზუსტებული ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების, ასევე დამტკიცებული ბიუჯეტის განწერის ცვლილებების აუცილებლობები და შემთხვევები; არ დაუშვას ბოლო კვარტალში, წლის ბოლოსათვის ასიგნებათა გადანაწილების აუცილებლობა და აკუმულირება. ზემოაღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით, სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საბიუჯეტო განაცხადების წარდგენისას, მკაფიოდ, სათანადოდ დაასაბუთოს და გაიანგარიშოს დასაგეგმი წლის ასიგნებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. აუდიტის ობიექტის მიერ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა

სამინისტროს აპარატის მიერ, სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენილი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (კორექტირებული გეგმების) შესაბამისად.

წლის განმავლობაში გაფორმებულია 120 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით დადებულია 111 ხელშეკრულება, ღირებულებით 713 022.1 ლარი (მიწოდება და გადახდა 709 847.6 ლარი).

ფასთა კოტირების პროცედურების შედეგად გაფორმებულია 2 ხელშეკრულება, ღირებულებით 85 000 ლარი (მიწოდება და გადახდა 75 660.2 ლარი).

სატენდერო პროცედურების შედეგად, გამარჯვებულებთან გაფორმებულია 7 ხელშეკრულება, ღირებულებით 364 590 ლარი (მიწოდება და გადახდა 364 590 ლარი).

ხელშეკრულებების პირობების დარღვევისათვის, დაკისრებულია საჯარიმო სანქცია 208.63 ლარის ოდენობით, რაც მიმართულია ბიუჯეტში.

წარმომადგენლობითი დანიშნულებით გაფორმებულია 79 ხელშეკრულება, ღირებულებით 579 096.95 ლარი (მიწოდება და გადახდა 548 035.11 ლარი).

სამინისტროს აპარატის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშები, სააგენტოში წარდგენილია დადგენილ ვადებში, დადგენილი ფორმით.

3. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის მდგომარეობა

საგარეო საქმეთა სამინისტროს ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება შედგენილია მისი საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგებების მონაცემთა გათვალისწინებით, გარდა საქართველოს საელჩოსი უკრაინაში (დაზუსტებული გეგმა 1.125. 4 ათასი ლარი) და მუდმივი წარმომადგენლობის სუამში (დაზუსტებული გეგმა 354.3 ათასი), რომელთა მიერ ბუღალტრული ანგარიშგებები არ წარდგენილა ფინანსური მენეჯერების როტაციის გამო.

კვარტალური ბალანსები სამინისტროს მიერ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილია დადგენილ ვადებში. წლიური ბალანსი კი თავდაპირველად წარდგენილია 2011 წლის 1 მარტს, ხოლო დაზუსტებული ნაერთი ბალანსი 9 მარტს.

სამინისტროს ბალანსზე რიცხული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მდგომარეობა:

/ათას ლარში/

დავალიანების დასახელება	2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	დავალიანების ცვლილება საანგარიშო პერიოდში	
			ზრდა	შემცირება
დებიტორული დავალიანება სულ	4281.1	2236.6	239.6	-2284.1
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	665.7	886.7	221	

მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით	803.3	239.9		-563.4
სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები	1395.9	333.3		-1062.6
სხვა საგადასახადო აქტივი	4.9	4		-0.9
მოთხოვნები მივლინებით	72.7	63.9		-8.8
გადახდილი დღგ	553.2	44.8		-508.4
ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	369.2	230.1		-139.1
მოთხოვნები დანაკლისით	394.8	413.4	18.6	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	21.4	20.5		-0.9
კრედიტორული დავალიანება	609	2243.6	1634.6	0
ფინანსური ვალდებულებები	68.5	1612.8	1544.3	
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9.5	34.6	25.1	
ვალდებულებები მივლინებით	12.6	14.8	2.2	
სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები	502.6	564.1	61.5	
გადას-ლი საშემოსავლო გადასახადი	0.8	1.6	0.8	
გადასახდელი ხელფასი შტატით მომუშავეთათვის	15	15.7	0.7	

დებიტორული დავალიანების ზრდა (239.6 ათასი ლარი) ძირითადად გამოწვეულია:

- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების მიერ საოფისე იჯარის თანხის წინასწარ გადახდით;
- როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ მოსამსახურეებზე, ბინის დაქირავებასთან დაკავშირებით, საავანსო თანხების გაცემითა და შეძენილ მომსახურებაზე დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდით, რომელიც ბრუნდება მომდევნო წლის დასაწყისში;
- მოთხოვნების წარმოშობით დანაკლისებზე, რამაც წლის განმავლობაში შეადგინა 18.6 ათასი ლარი²⁷;
- მოსამსახურის მიმართ სახელფასო დავალიანების წარმოშობით და სხვა;

დებიტორული დავალიანების კლება (2284.1 ათასი ლარი) ძირითადად გამოწვეულია:

²⁷ წლის ბოლოსათვის 413.4 ათასი ლარის დანაკლისი ირიცხება 10 ორგანიზაციაზე. მათ შორის: 9-ში ძირითადი საშუალებების დანაკლისი -407.5 ათასი ლარი, ერთში -ნაღდი ფულის დანაკლისი -5.9 ათასი ლარი, რაზედაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც არ არის დახურული

- როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ მოსამსახურეებზე ავანსის სახით, ბინის დაქირავებასთან დაკავშირებით გაცემული სახსრების შესაბამისი ანგარიშების წარმოდგენით;
- გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნებით;
- წლის დასაწყისისთვის არსებული დებიტორული დავალიანებების დაფარვით (მხოლოდ აპარატში, წლის განმავლობაში დაიფარა წლის დასაწყისში არსებული 362.0 ათასი ლარის დავალიანება) და სხვა.

კრედიტორული დავალიანებების ზრდა (1 634.6 ათასი ლარი) ძირითადად გამოწვეულია:

- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების - კერძოდ ჩეხეთის საელჩოსთვის შენობის კრედიტით შეძენით, რაც ეტაპობრივად დაიფარება (შენობა ასახულია არაფინანსურ აქტივებში) და სხვა.

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს არაფინანსური აქტივების (ძირითადი აქტივები) ნაშთი შეადგენდა 19 923.6 ათას ლარს. 2010 წლის განმავლობაში შესყიდვით მიღებამ შეადგინა 6 949.2 ათასი ლარი²⁸, სხვა ეკონომიკური ნაკადებით მიღებამ (საკურსო სხვაობები) 542.8 ათასი ლარი, იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან აქტივების უსასყიდლოდ მიღებამ შეადგინა 1.9 ათასი ლარი²⁹; იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე უსასყიდლოდ გადაცემულია აქტივები 7.2 ათასი ლარის ღირებულებით³⁰, სხვა ეკონომიკური ნაკადებით გასვლამ შეადგინა 77.7 ათასი ლარი³¹, „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში გაიწია ფაქტობრივი ხარჯი 2 643.5 ათასი ლარის ოდენობით, რაც გამოწვეულია ძირითად აქტივებზე ფიზიკური და მორალური ცვეთის დარიცხვით. 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არაფინანსური აქტივების (ძირითადი აქტივები) ნაშთმა შეადგენდა 24 688.2 ათასი ლარი.

სამინისტროს წმინდა ღირებულება წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 24 465.9 ათას ლარს, წლის ბოლოსთვის კი 25 843.2 ათას ლარს. წმინდა ღირებულების ზრდა (71 178.9 ათასი ლარი), განაპირობა: ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ, შემოსავლებმა³²,

²⁸ შესყიდვით მიღებული 4 653.8 ათასი ლარიდან ცენტრალური აპარატის მიერ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ასიგნებიდან გახარჯულია 1 634.5 ათასი ლარი (შესყიდვით მიღებულია 1 906.0 ათასი ლარის აქტივები წინა წელს გაწეული საკასო ხარჯის გათვალისწინებით), ხოლო „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ასიგნებიდან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების მიერ მიღებულია აქტივები 2 747.8 ათასი ლარის ოდენობით

²⁹ პასპორტის საბეჭდი პრინტერი, ლამინატორი

³⁰ პასპორტის საბეჭდი პრინტერები, მოწმობები, პასპორტები

³¹ 41.1 ათასი ლარის არასაცხოვრებელი შენობები, ხოლო 36.6 ათასი ლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალებები

³² საელჩოებში მიღებული საკონსულო მოსაკრებლები

ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების უსასყიდლოდ მიღებამ³³ და სხვა ეკონომიკურმა ნაკადებმა. შემცირების მიმართულებით (70 801.6 ათასი ლარი) იმოქმედა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა მომუშავეთა ანაზღაურება, საქონლისა და მომსახურების ხარჯების გაწევა, ძირითადი კაპიტალის მოხმარება და სხვა ფაქტორებმა³⁴.

აპარატის საბალანსო ანგარიშებზე ასახული ფინანსური ოპერაციებისა და რიცხული ნაშთების აუდიტით გამოვლინდა:

1215 საბალანსო ანგარიშზე - „სხვა ანგარიშები ბანკში“ - 263 986 ლარის ოდენობით ნაშთი რეალურად ვერ ასახავს სამინისტროს აქტივების ფაქტობრივ მდგომარეობას და შესაბამისად სამინისტროს აქტივები 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 263 986 ლარით ნაკლებს შეადგენს.

2009 წლის ფინანსური აუდიტის პროცესში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2010 წლის 25 მარტის N18-04-14/490/3977 წერილით წარმოდგენილი იქნა განმარტება, რომლის მიხედვითაც: „სსრკ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის ყოფილი თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება აღიარებულია სახელმწიფო საშინაო ვალად“, ასევე აღნიშნულია, რომ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ს/ს გაერთიანებული ქართული ბანკის მიერ 2002 წლის 11 ოქტომბრის N3-14-04/210-2245 გამოგზავნილი წერილის თანახმად სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის ქ.თბილისის განყოფილების ბალანსზე ირიცხებოდა საქართველოს საგარეო სამინისტროს კუთვნილი ბლოკირებული თანხა 205 917.87 აშშ დოლარის ოდენობით.“

- 3231; 3234; 3246³⁵ საბალანსო ანგარიშებზე აღრიცხული კრედიტორული დავალიანებიდან - 64.1 ათასი ლარი წარმოშობილია 2004-2007 წლებში.

მინისტრის 2010 წლის 3 ნოემბრის N260 ბრძანების საფუძველზე, სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის

³³ სამოქალაქო რეესტრიდან მიღებული მოწმობები, პასპორტები, პრინტერები

³⁴ გრანტებმა, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა ხარჯებმა, აქტივების უსასყიდლოდ გაცემამ (პასპორტები, მოწმობები, პრინტერები), სხვა ეკონომიკურმა ნაკადებმა და ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებებმა (ბიუჯეტში მოსაკრებლების შეტანა)

³⁵ 3231- „გადასახდელი ხელფასი შტატით“; 3234 - „ვალდებულებები მივლინებით“; 3246 - „სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებანი“

შედეგად, გამოვლინდა მწყობრიდან გამოსული ძირითადი საშუალებები³⁶ და სწრაფცვეთადი საგნები³⁷, რომლებიც იყო ამორტიზირებული, ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი და ექვემდებარებოდა ჩამოწერას. კომისიის 3 დეკემბრის სხდომის ოქმით ჩამოიწერა ზემოაღნიშნული მატერიალური ფასეულობები, რომლებიც განადგურებული იქნა 2011 წლის 11 თებერვალს.

რეკომენდაცია:

-საგარეო საქმეთა სამინისტრომ, როგორც მხარჯავმა დაწესებულებამ, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგებების მიღება მისი ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან. სამინისტრომ, ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგებების შედგენა და წარდგენა, აწარმოოს მისი ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემების გათვალისწინებით;

- საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურთან ურთიერთთანამშრომლობით განახორციელოს სამინისტროს 1215 საბალანსო ანგარიშზე - „სხვა ანგარიშები ბანკში“ - რიცხული 263 986 ლარის (205 917.87 აშშ დოლარი) დაფარვასთან ან ხარჯებში ჩამოწერასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომ სამინისტროს ბალანსი რეალურად ასახავდეს სამინისტროს აქტივების ფაქტობრივ მდგომარეობას;

- საგარეო საქმეთა სამინისტრომ, წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების შესაძლო დაფარვის მიზნით, მიმართოს ფინანსთა სამინისტროს „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პაუზისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

³⁶ 734 ერთეული, საწყისი ღირებულებით 515.0 ათასი ლარი, ნარჩენი ღირებულება - 0

³⁷ 2451 ერთეული, საწყისი ღირებულებით 124.7 ათასი ლარი

აუდიტის ჯგუფის წევრის ხელმოწერა

მთავარი აუდიტორი:

ავთანდილ ვასაძე

ხელმოწერა/თარიღი

ა. ვასაძე

დანართი A - აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის პერიოდში, საგარეო საქმეთა სამინისტროში პასუხისმგებელი პირები იყვნენ:

გრიგოლ ვაშაძე - საგარეო საქმეთა მინისტრი

გიორგი ზოკერია - საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე (2010 წლის 20 ნოემბრამდე)

ნიკოლოზ ვაშაკიძე - საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე (2010 წლის 20 ნოემბრიდან)

ლევან დავითულიანი - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

ნინო კალანდაძე - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

დავით ჯალაღანია - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

ალექსანდრე ნალბანდოვი - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

გელა ბუკია - ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი

მაია ჩოხელი - საბიუჯეტო აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის უფროსი

მარიამ როსტომაშვილი - ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის სამსახურის უფროსი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებებს იძლეოდნენ:

გელა ბუკია - ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი

მაია ჩოხელი - საბიუჯეტო აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის უფროსი

მარიამ როსტომაშვილი - ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის სამსახურის უფროსი

აუდიტის პროცესში გამოყენებული კანონ მდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები:

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბერის №206 დადგენილება „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“;

საქართველოს კანონი „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2009 წლის 28 დეკემბრის N267 ბრძანება „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის N914 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდეზს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“.